ხელშეკრულება №12/07 28

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
(მომსახურების შესყიდვა)

ქ. თბილისი

12ივლისი 2013წ

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი 62-ე საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი), მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „ფრონტონი" (შემდგომში – მიმწოდებელი), მისი ხელმძღვანელის ნიკოლოზ ბიწკინაშვილის სახით, ვხელმძღვანებლობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. „დამკვეთის" დავალებით „შემსრულებელი" თანახმაა ურთიერთშეთანხმების ვადაში გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება, კერძოდ:

ა). სკოლის წარმომადგენელთან თანდასწრებით, შეუდგენს დეფექტურ აქტს : სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალს და აზომვა აღრიცხვას .

1.2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ ქ. თბილისის საჯარო სკოლებში შესასრულებელი სამუშაოების სავარაუდო ჩამონათვალის განფასების " შესაბამისად, მოუმზადებს ხარჯთაღრიცხვას, დეფექტური აქტის საფუძველზე.

1.3. „შემსრულებელი" ზემოთ ჩამოთვლილ არსებულ სამუშაოთა დოკუმენტაციას, წარუდგენს როგორც ბეჭდვითი ასევე ელექტრონული სახითაც.

II შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია გეგმების, სამუშაო ნახაზებისა დატექნიკური პირობების დამტკიცება.\

III ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს.

IV შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნას.

V ანგარიშსწორება ფორმა და ვადები

5.1 მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება შემსყიდველის მიერ ხდება მიწოდებულ საქონელზე ინვოისის და წინასწარი სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისო უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5.3 ანგარიშსწორების ფორმა უნაღდო, ანგარიშსწორება მოხდება შემსყიდველის მიერ მიღება ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 დღის განმავლობაში.

VI მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს სახელმწიფო შესყიდვების ობიექტის სრული ღირებულება;

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

VII მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხიმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გამოსვლა ვალდებულების შეუსრულებლობისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებით ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3. ხელშეკრულებიდან გასვლის მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშკერულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

VIII ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2013წლის 12 **ივლისიდან**

8.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად 5 დღის განმავლობაში.

IX ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპესაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

9.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

X. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

XI. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

11.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს 62–საჯარო სკოლის დირექტორი თამარ მალაზონია.

11.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მომწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

XII სხვა პირობები

12.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

12.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით და რისკით.

12.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ანდა მეტობა ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

XIII მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

დამკვეთი:	**შემსრულებელი**
სსიპ N62 საჯარო სკოლა	შპს. „ფრონტონი“ ს/კ 454406802
საიდ.კოდი: 211351605	მის: ქ. თბილისი დიდგორის რ/ნ,
ბანკი: სს კორ სტანდარტ ბანკი	ოქროყანა ზონა „გ“ აგარაკი №92 ბ№1
ბანკის კოდი: KΣBΓΓE22	პროკრედიტ ბანკის ცენტრ.ფ. ბ/კ MIBGGE22
ა/ა: ΓE10KΣ0000000360800576	ა/ა GE62PC0133600100056440
დირექტორი: თამარ მალაზონია	დირექტორი: ნ. ბიწკინაშვილი